ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 128

8 მაისი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის -
„თბილისი" - ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად და „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი" ჩატარების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ქ. თბილისში, ყოველწლიურად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით ჩატარდეს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი", რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგებში მოღვაწე პირების შემოქმედებით აქტივობას, პროფესიულ ზრდასა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენასა და წახალისებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვასა და საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას;

ბ) კონკურსის ჩატარების, ნამუშევრების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით, იქმნება ჟიური, სადაც მოწვეული იქნებიან დარგის კომპეტენტური და ავტორიტეტული წარმომადგენლები. ჟიურის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 7 (შვიდი) წევრით. ჟიურის წევრობის კანდიდატურებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია ყოველწლიურად დასამტკიცებლად წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

გ) კონკურსის ჟიურის მუშაობას ხელმძღვანელობს ჟიურის თავმჯდომარე, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევენ ჟიურის წევრები ხმათა უმრავლესობით. ჟიურის თავმჯდომარეს და ჟიურის წევრებს აქვთ ერთი ხმის უფლება;

დ) ჟიურის წევრები ინდივიდუალურად ეცნობიან, არჩევენ, აფასებენ და გამოავლენენ კონკურსის ნომინაციებში წარმოდგენილ ნაწარმოებებს. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას ჟიური ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, ნაწარმოების ესთეტიკური მხარე, დარგის ტენდენციების, ფორმებისა და ხერხების ფლობა, თემის აქტუალურობა, თბილისისათვის საინტერესო და აქტუალური თემების წამოწევა, ახალი და ინოვაციური აზროვნება;

ე) ჟიურის თითოეული წევრი ვალდებულია, კეთილსინდისიერად მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად,

მიანიჭოს უპირატესობა საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევარს. ჟიურის წევრი, ასევე, ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ოფიციალურ გამოცხადებამდე არ გაახმაუროს კონკურსის შედეგები;

ვ) ჟიური უფლებამოსილია გამოავლინოს ერთი გამარჯვებული თითოეულ ნომინაციაში, ჟიურის გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით; გაფორმდეს ოქმით, რომელშიც მითითებული იქნება ჟიურის შეკრების ადგილი, თარიღი, დამსწრეთა რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი. ოქმს ხელს აწერს ჟიურის ყველა დამსწრე წევრი. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება;

ზ) ჟიური ვალდებულია არაუგვიანეს სექტემბრის ბოლო პარასკევს დაასრულოს ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოვლენა;

თ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შეივსოს ელექტრონული განაცხადი და საკონკურსო ნაწარმოები წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული სახით (ნომინაციების შესაბამისად აუდიო/ვიდეო/ფოტო მასალა). სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge

მოთხოვნის შესაბამისად საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2);

ი) კონკურსის მონაწილე შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, ვინც უკვე ეწევა შემოქმედებით საქმიანობას ან არის დებიუტანტი. კონკურსში მიიღება და განიხილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი/გამოცემული საავტორო ნაწარმოები. საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს ნამუშევრის პირველი გამოცემა;

კ) კონკურსის ნომინაციებია:

კ.ა) წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;

კ.ბ) წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;

კ.გ) წლის საუკეთესო ესსე ("ჩემი თბილისი" - სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის);

კ.დ) წლის საუკეთესო სიმღერა;

კ.ე) წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები;

კ.ვ) წლის საუკეთესო ქანდაკება;

კ.ზ) წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები;

კ.თ) წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები;

კ.ი) ჟიურის სპეციალური პრიზი.

ლ) კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადებია:

ლ.ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსებისა და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა 20 ივლისიდან 10 სექტემბრის 18:00 საათამდე;

ლ.ბ) II ეტაპი - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა და შეფასება ნომინაციების მიხედვით 11 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე;

ლ.გ) III ეტაპი - ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითო ნომინაციაში - არაუგვიანეს სექტემბრის ბოლო პარასკევამდე;

ლ.დ) IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება „თბილისობის" ღონისძიებების ფარგლებში;

მ) ჟიური უფლებამოსილია კონკურსში მონაწილე ნებისმიერი პირი დააჯილდოოს სპეციალური პრიზით;

ნ) გამარჯვებულებს გადაეცეს კონკურსის პრიზი (სიმბოლო, XII საუკუნის არტეფაქტის - ხოხბის გამოსახულების სტილიზებული ვარიანტი) და ფულადი, ერთჯერადი განაცემი (ჯილდო) 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

ო) ნომინაციებში გამარჯვებული ნამუშევრების დაჯილდოება მოხდება ყოველწლიურად, ოქტომბრის თვეში, „თბილისობის" ღონისძიებების ფარგლებში;

პ) კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო უზრუნველყოფას ახორციელებს კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფი;

ჟ) საორგანიზაციო ჯგუფის ფუნქციებია:

ჟ.ა) კონკურსის ჩატარებისთვის მოსამზადებელი ეტაპების უზრუნველყოფა;

ჟ.ბ) შერჩევითი ეტაპის შედეგად კონკურსის მონაწილეთა საკონკურსო ნამუშევრების მიღება;

ჟ.გ) ჟიურის წევრებისათვის ნომინაციების შესაბამისი საკონკურსო ნამუშევრების გადაცემა, სხდომების ორგანიზება;

ჟ.დ) კონკურსის მსვლელობის თაობაზე მონაწილეთა და საზოგადოებისთვის სისტემატურად ინფორმაციის მიწოდება.

2. განკარგულება ძალაშია 2015წლის 20 მაისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი